თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
სადოქტორო პროგრამა: საშემსრულებლო ხელოვნება
სპეციალობა: ორგანი
მისაღები გამოცდების მოთხოვნები

I. სპეციალობა

სოლო პროგრამა - 60 წთ.:

1) დ.ბუქსტეჰუდეს, ან ი.ს ბახის პოლიფონიური ნაწარმოები ფუგით;
2) ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორთა ჩაკონა, ან პასტორალი;
3) სიუიტა მაგნიფიკატისთვის, ან მესა (ფრანგული სკოლა – ა.რეზონ, ჟ.ბ.დანდრიე, ლ.ნ.კლერამბო)
4) რომანტიზმი (თავისუფალი არჩევანი, საორგანო ნაწარმოები ტრანსკრიფციის გარეშე);
5) XX-XXI სს. საორგანო ნაწარმოები; (თავისუფალი არჩევანი)
6) ი.ს.ბახის სოლო კანტატა, ან ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორთა Trio–sonata (ორგანი და ინსტრუმენტები), ან სონატა ინსტრუმენტებისა და obbligato ორგანისთვის.

კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, პრეტენდენტთან შეათანხმოს პროგრამის შეკვეცა.

II. სპეციალობის მომიჯნავე დისციპლინები

1. **წერითი გამოცდა** - სამი საკითხი: 1- საორგანო მუსიკის ისტორიიდან, 1 - მუსიკის თეორიიდან **(იხ. დანართი).**
2. **მომავალი სადისერტაციო ნაშრომის გაფართოებული გეგმის დაცვა** (მოცულობა დაახლოებით 5-6 გვერდი) - ნაშრომის გაფართოებული გეგმა უნდა ეხებოდეს საშემსრულებლო ხელოვნების თეორიის, ისტორიის, მეთოდიკის ან ინტერპრეტაციის საკითხებს. წარმოდგენილ გეგმაში უნდა აისახოს სამომავლო საშემსრულებლო დისერტაციის გეგმა, სადისერტაციო თემის დასაბუთებით, პრობლემის აღწერით, კვლევის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებით.
3. **ნაწარმოების საშემსრულებლო ანალიზი - (იხ. დანართი)**

- საშემსრულებლო გეგმის ჩამოყალიბება;
- ნაწარმოებში, ლოგიკური გააზრების შედეგად დრამატურგიული კონცეფციის ჩამოყალიბება;
- ავტორისეული ჩანაფიქრის, გრაფიკული ტექსტის ზუსტი გააზრება;
- არტიკულაცია; სიმბოლიკით, დინამიური ნიშნებითა და რეგისტრების შერჩევით დრამატურგიული კონსტრუქციის მოხაზვა;
- მუსიკალური ფორმის გამთლიანება ნაწარმოების ძირითად იდეასთან შესაბამისობაში;
- ავტორის მიერ მითითებული ტემპის, რიტმის, აგოგიკური აღნიშვნების გათავისება; მითითებების არარსებობის შემთხვევაში, იგივე ზემოთაღნიშნულის დადგენა და დასაბუთება;
- კომპოზიტორის ეპოქისა და სტილის ადეკვატური შეცნობა;
- ნაწარმოებში ტექნიკურ სირთულეებზე მუშაობა;
- მუსიკალური აზრიდან გამომდინარე ემოციის თვითკონტროლი;

III. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული).

დანართი

<u>საკითხები სპეციალობის მომიჯნავე დისციპლინებიდან</u>

საორგანო მუსიკის ისტორია

1. ორგანის შექმნისა და ევოლუციის ისტორია;
2. კონსტრუქცია და დისპოზიციები ევოლუციის თვალსაზრისით
3. ბაროკოს ეპოქის საორგანო მუსიკა; სტილისტური დიფერენცირება ისტორიულ
4. კონტექსტში (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, ნიდერლანდები)
5. ბახამდელი საორგანო მუსიკა (ბახამდელი ქორალური პრელუდია. ბახამდელი კანტატები. მოკლე მიმოხილვა)
6. ი.ს.ბახი. საორგანო შემოქმედება. ქრონოლოგია.
7. ი.ს.ბახის საორგანო და ვოკალურ-ინსტრუმენტული შემოქმედება ქრისტიანული სიმბოლიკის თვალსაზრისით.
8. ი.ს.ბახის საორგანო ტოკატა და ფუგა BVW 538 “მათეს ვნებანი”’-ს მოდელირების ასპექტში.
9. იტალიური ორგანები. იტალიელ კომპოზიტორთა საორგანო შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.
10. ოსტინატოს გამოყენების პრინციპები ქორალებში და მაგნიფიკატებში.
11. Basso-continuo და მისი გამოყენების პრინციპები ბაროკოს ეპოქის ინსტრუმენტულ და ვოკალურ - ინსტრუმენტულ ნაწარმოებებში.
12. ძველი ცეკვები ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორთა შემოქმედებაში.
13. სიუიტური ფორმა ფრანგული სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებაში;
14. ორგანის ფუნქცია ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებაში;
15. ფ.მენდელსონის, ს.ფრანკის, რ.შუმანის და მ.რეგერის საორგანო შემოქმედება მუსიკალური რომანტიზმის კონტექსტში;
16. ო.მესიანის საორგანო ნაწარმოებები;
17. ქრისტიანული სიმბოლიკა ო.მესიანის საორგანო ნაწარმოებებში.
18. ო.მესიანის საკომპოზიტორო სტილი საორგანო მუსიკის განვითარების კონტექსტში;
19. XX-XXI საუკუნის საორგანო მუსიკა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები.
20. ქართული საორგანო მუსიკა.
21. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ინსტალირებული საკონცერტო ორგანი.
22. საკონცერტო ორგანები საქართველოში. მიმოხილვა ისტორიულ ასპექტში.

მუსიკის თეორია

1. მოდალური სისტემა;
2. მაჟორულ-მინორული სისტემა;
3. XX ს. ჰარმონია (ქრომატიული სისტემა, ნეომოდალობა);
4. შინაარსი და ფორმა მუსიკაში;
5. ჟანრი და სტილი მუსიკაში;
6. მუსიკალური გამომსახველობის ხერხები;
7. მარტივი ფორმები;
8. რთული სამნაწილიანი ფორმა;
9. რონდო და რონდოსებური ფორმები;
10. ვარიციული ფორმა;
11. სონატური ფორმა და მისი ევოლუცია;
12. ინსტრუმენტული მუსიკის ციკლური ფორმები;
13. თავისუფალი და შერეული ფორმები;
14. ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ფორმები;
15. XX ს. ძირითადი ფორმების მოკლე დახასიათება;
16. პოლიფონიური ფაქტურის სახეები;
17. კონტრაპუნქტის თეორია;
18. იმიტაციის თეორია;
19. ფუგის თეორია;
20. ბაროკოს ეპოქის პოლიფონიური ფორმებისა და ჟანრების დახასიათება;
21. ვენის კლასიკოსების პოლიფონია;
22. კომპოზიტორ-რომანტიკოსების პოლიფონია;
23. პოლიფონიური ფორმები XX ს. მუსიკაში;

საშემსრულებლო ანალიზისთვის შერჩეული ნაწარმოებები:

1. ი.კინდერმან-მაგნიფიკატი(მერვე ტონში)
2. ი.ს.ბახი. ქორალები: „O,Lamm Gottes“, „Vom Himmel hoch“, „Christ,unser Herr zum Jordan kam“;
3. ი.ს.ბახი. ტოკატა და ფუგა d moll BWV 538
4. ი.ს.ბახი. პრელუდია და ფუგა C moll BWV 546
5. ი.ს.ბახი. პრელუდია და ფუგა a moll BWV 543
6. ი.ს.ბახი. პრელუდია და ფუგა G Dur BWV 541
7. ი.ს.ბახი. პასტორალი BWV 590
8. ი.ს.ბახი. Trio-sonata No.3 D moll
9. დ.ბუქსტეჰუდე. პრელუდია G moll BuxWV 149
10. დ.ბუქსტეჰუდე. პრელუდია, ფუგა და ჩაკონა C dut BuxWV 137
11. ჰ.პერსელი. ჩაკონა g moll
12. ჟ.დანდრიე. სიუიტა „მაგნიფიკატისთვის“ D dur
13. ჯ.პერგოლეზი. სონატა F Dur
14. ვ.ა.მოცარტი. ფანტაზია f moll KV 608
15. ლ.ვ.ბეთჰოვენი. საორგანო პიესა მექანიკური საათისთვის C Wo0 33 No 4
16. ფ.მენდელსონი. საორგანო სონატა №1 f moll, op.65
17. ი.ბრამსი. პრელუდია და ფუგა a moll wo0 09
18. რ.შუმანი. 4 სკეტჩი op.58
19. მ.რეგერი. ტოკატა d moll op.59
20. მ.რეგერი. ინტროდუქცია და პასაკალია
21. ს.ფრანკი. ქორალი no. 3 in a moll
22. პ.ჰინდემიტი. სონატა No1.
23. ჟ.ალენი. ლიტანიები
24. ო.მესიანი. მედიტაციები (VII,VIII,IX)
25. გ.იანგი. ტრიპტიქონი